ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, ტრანსპორტის მენეჯმენტი
ტესტები

საგანი - მენეჯმენტი

(ტესტებში ოთხი სავარაუდო პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი. აბიტურიენტმა საჭიროა პასუხების ფურცელში შეიტანოს ერთი სწორი პასუხი).

I. მიკრო- მაკროეკონომიკა

1. საქონელი შეიძლება იყოს:

ა) გასაყიდად გამზადებული ნივთი;
ბ) უკვე გაყიდული ნივთი;
გ) რეალიზებული პროდუქცია;
დ) ექსპლუატაციაში მყოფი ნივთი.

2. ფული არის:

ა) საქონლის საზომი;
ბ) ქაღალდის ბანკნოტი;
გ) ანგარიშზე არსებული თანხა
დ) საქონლის საყოველთაო ექვივალენტი.

3. კაპიტალიზმი არის:

ა) ცხოვრების წესი;
ბ) საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია;
გ) კლასობრივი საზოგადოება;
დ) გამდიდრების საშუალება.

4. ფულის ფუნქციაა—ფული, როგორც:

ა) საქონლის საზომი;
ბ) საქონლის მოცულობა;
გ) ღირებულების საზომი;
დ) ღირებულების ნიშა.

5. ფულის ფუნქციაა—ფული, როგორც:

ა) მიმოქცევის საშუალება;
ბ) ბრუნვის დაჩქარება;
გ) ბრუნვის სიდიდე;
დ) მიმოქცევის მაჩვენებელი.

6. ფულის ფუნქციაა— ფული, როგორც:

ა) დაგროვება;
ბ) დაგროვების მუხტი;
გ) დაგროვების საშუალება;
დ) დაგროვების წახალისება.

7. ფულის ფუნქციაა—ფული, როგორც:

ა) გადახდის მიზანი;
ბ) გადახდის მოგვარება;
გ) გადახდის წესი;
დ) გადახდის საშუალება

8. ფულის ფუნქციაა —ფული, როგორც:

ა) მსოფლიოშო მოგზაურობის საშუალება;
ბ) მსოფლიოს აყვავების საშუალება;
გ) მსოფლიო ფული;
დ) მსოფლიო ომი.

9. ფული არის:

ა) ხელის ჭუჭყი;
ბ) სათაყვანებელი საგანი;
გ) ღირებულების საზომი;
დ) საოჯახო ნივთი.

10. XX საუკუნის შუა ხანებამდე ფულის როლს ძირითადად ასრულებდა:

ა) მარილი;
ბ) ფქვილი;
გ) ოქრო;
დ) ქაღალდი.

11. ფასს განსაზღვრავს:

ა) საქონლის ხარისხი;
ბ) პროდუქციის თვითღირებულება;
გ) ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა;
დ) საქონლის ტექნიკური სირთულე.

12. შრომა არის:
ა) ადამიანის სამუშაო ძალის ხარჯვის პროცესი;
ბ) ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობა;
გ) მიწათმოქმედების პროცესი;
დ) საშინაო საქმეების კეთება.

13. ბაზარი არის:
ა) საქონლის რეალიზაციის ადგილი;
ბ) პროდუქციის შესყიდვის ადგილი;
გ) ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების საშუალება;
დ) ფასის განსაზღვრის საშუალება.

14. ბაზარი შეიძლება იყოს:
ა) მონოპოლიური;
ბ) თავისუფალი;
გ) ნომინალური;
დ) რეალური.

15.
მთლიანი შიდა პროდუქტია:
ა) წლის განმავლობაში შექმნილი პროდუქცია;
ბ) წლის განმავლობაში გაწეული მ ომსახურება;
გ) წლის განმავლობაში ქვეყანაში არსებული ფულის მასა;
დ) წლის განმავლობაში შექმნილი პროდუქციის და მომსახურების ჯამი.

16. მთლიანი შიდა პროდუქტი იზომება:
ა) წლის განმავლობაში რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მთლიანი დამატებითი ღირებულების ჯამით;
ბ) წლის განმავლობაში რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების თანამშრომელთა ხელფასის ჯამით;

გ) წლის განმავლობაში რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მიერ მიღებული მოგების ჯამით;
დ) წლის განმავლობაში რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მიერ მიღებული შემოსავლებით.

17. ინფლაციას განაპირობებს:
ა) საქონლის მიწოდების გადამეტება მოთხოვნაზე;
ბ) ემისიის გადამეტება ეკონომიკურ ზრდაზე:
გ) ფულის მასის შემცირება:
დ) ადამიანების მომჭირნეობა.

18. ფული არის:
ა) განსაკუთრებული საქონელი;
ბ) საქონლის საყოველთაო ექვივალენტი:
გ) ძვირფასი ლითონი;
დ) ეროვნული ბანკის ბანკნოტი.

19. ქვეყანაში ცხოვრების დონე დამოკიდებულია:
ა) ქვეყნის საწარმოო აქტივების მოცულობაზე:
ბ) სასარგებლო წიაღისეულის არსებობაზე:
გ) საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე;
დ) მოსახლეობის განათლებასა და პროფესიონალიზმზე.

20. ფასები იზრდება, როცა მთავრობა:
ა) იყენებს შეზღუდვებს სამეწარმეო საქმიანობაზე;
ბ) ხელს უწყობს ეკონომიკის მონოპოლიზაციას;
გ) აუარესებს საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს;
დ) ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს.

II. ფინანსები და ბუღალტერია.

21. ბანკი შეიძლება იყოს:

ა) ეროვნული;
ბ) სოფლური;
გ) ქალაქური;
დ) ბუკინისტური.

22. ფულის ემისიას ახორციელებს:

ა) მთავრობა
ბ) ეროვნული ბანკი;
გ) ქალაქის მუნიციპალიტეტი;
დ) პრეზიდენტი.

23. საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტებში მაჩვენებლები აღირიცხება:

ა) ტონობით;
ბ) ცენტნერობით;
გ) ლარებით;
დ) კილოგრამებით.

24. სტატისტიკური აღრიცხვა შეიძლება ჩატარდეს:

ა) ნატურალური მაჩვენებლებით;
ბ) აბსტრაქტული მაჩვენებლებით;
გ) წარმოსახვითი მაჩვენებლებით;
დ) ირაციონალური მაჩვენბლებით.

25. ბალანსი არის:

ა) შემოსავლების და გასავლების სხვაობა;
ბ) შემოსავლების და გასავლების ტოლობა;
გ) შემოსავლების მეტობა გასავლებზე;
დ) გასავლების მეტობა შემოსავლებზე.

26. ბუღალტრული ბალანსი არის:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის კრებსითი დოკუმენტი;
ბ) ძირითადი კაპიტალის აღრიცხვა;
გ) შრომითი რესურსების აღრიცხვა;
დ) ხელფსის სიდიდე.

27. მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს მიეკუთვნება:

ა) საბუღალტრო ბარათი;

ბ) სტატისტიკური ჩანაწერი;
გ) სასაწყობო ჩანაწერი;
დ) დღგ-ს ფაქტურა.

28. კრედიტორული დავალიანება ნიშნავს:

ა) ფირმის ვალს;
ბ) ფირმის შემოსავალს;
გ) ფირმის მოგებას; დ) ფირმის წარმატებას.

29. დებიტორული დავალიანება ნიშნავს:

ა) ფირმის დანახარჯებს;
ბ) ფირმისადმი ვალს;
გ) ძირითად კაპიტალს;
დ) საბრუნავ კაპიტალს.

30. სალაროში არსებული თანხის შენახვაზე მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს

ა) დირექტორი;
ბ) ბუღალტერი;
გ) მოლარე;
დ) ინჟინერი.

31. ხელფასის გაცემის სააღრიცხვო დოკუმენტია:

ა) უწყისი;
ბ) ფაქტურა;
გ) ორდერი;
დ) ჟურნალი.

32. ბანკი ორგანიზაციის ანგარიშიდან უნაღდო ანგარიშსწორებას აწარმოებს შემდეგი დოკუმენტის საფუძველზე:

ა) ბრძანება;
ბ) განკარგულება;

გ) საგადასახადო დავალება;
დ) მიწერილობა;

33. ორგანიზაციის დავალინება შეიძლება იყოს:

ა) დეპოზიტი;
ბ) კრედიტორული;
გ) აქტიური;
დ) პასიური.

34. ორგანიზაციის დავალიანება შეიძლება იყოს:

ა) დეპოზიტური;
ბ) აქტიური;
გ) პასიური;
დ) დებეტორული.

35. ხელფასიდან ბუღალტერიამ შეიძლება დააკავოს მუშაკის დავალიანება:

ა) მეზობლის სასარგებლოდ;
ბ) მეუღლის სასარგებლოდ;
გ) ბიუჯეტის სასარგებლოდ;
დ) შვილის სასარგებლოდ.

36. საკორესპოდენტო ანგარიშების ნომრები საბუღალტრო აღრიცხვაში შემოღებულია აღრიცხვის:

ა) გასართულებლად;
ბ) გასამარტივებლად;
გ) გასანადგურებლად;
დ)გასაბათილებლად.

37. დამატებითი ღირებულების სიდიდე საგადასახადო დეკლარაციაში აღირიცხება:

ა)5%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა;
ბ) 18%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა;
გ) 25%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა;
დ)40%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა;

38. დღგ-ს დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ადასტურებს:

ა) ორგანიზაციის ბუღალტერი;
ბ) ორგანიზაციის მთავარი ბუღალტერი;
გ) ორგანიზაციის ხელმძღვანელი;
დ) მოლარე.

39. აქციზის დეკლარაციაში აღირიცხება:

ა) აქციზის საერთო მოცულობა;
ბ) გადასახდელი აქციზი;
გ) აქციზის განაკვეთი;
დ) სააქციზო პროდუქციის დასახელება.

40. საშემოსავლო დეკლარაციაში აღინიშნება:

ა) მოგების გადასახადი;
ბ) დივიდენდებზე გადასახადი;
გ) აქციზის გადასახადი;
დ) დღგ-ს გადასახადი.

ფირმის ეკონომიკა

41. სიტყვა "ეკონომიკა" გულისხმობს:

ა) მატერიას;
ბ) სამყაროს;
გ) მუშაობას;
დ) წარმოების და მომსახურეობის სფეროს.

42. წარმოების საშუალებების შემადგენლობაში შედის:

ა) წარმოსახვითი კაპიტალი;
ბ) არასრული კაპიტალი;
გ) ძირითადი კაპიტალი;
დ) ალბათური კაპიტალი.

43. ძირითადი კაპიტალი საწარმოო ციკლში მონაწილეობს:

ა) ერთჯერ;
ბ) მრავალჯერ;
გ) არცერთჯერ;
დ) უსასრულოდ

44. ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში შედის:

ა) ადამიანები;
ბ) ფული;
გ) ინჟინრები;
დ) შენობები.

45. ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში შედის:

ა) ბუღალტრები;
ბ) ეკონომისტები;
გ) ნაგებობები;
დ) მუშები.

46. ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში შედის:

ა) გადამცემი მოწყობილობები;
ბ) დასაქცევი მოწყობილობები;
გ) დასამტვრევი მოწყობილობები;
დ) დამცავი მოწყობილობები.

47. ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში შედის:

ა) ადამიანები და ცხოველები;
ბ) ადამიანები და მათი ნათესავები;
გ) ადამიანები და გარემო;

დ) მანქანები და მოწყობილობები.

48. ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში შედის:

ა) სალაროები;
ბ) სატრანსპორტო საშუალებები;
გ) სარემონტო ინვენტარი;
დ) საზეინკლო იარაღი.

49. ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში შედის:

ა) საფოსტო მანქანები;
ბ) სადუღი მანქანები;
გ) საწრეტი მანქანები;
დ) მუშა მანქანები და მოწყობილობები.

50. ძირითადი კაპიტალის შეფასება შეიძლება მოხდეს:

ა) თავდაპირველი ღირებულებით;
ბ) უმიზნო ღირებულებით;
გ) უსაზღვრო ღირებულებით;
დ) შეზღუდული ღირებულებით.

51. ძირითადი კაპიტალის შეფასება შეიძლება მოხდეს:

ა) არარსებული ღირებულებით;
ბ) უნორმო ღირებულებით;
გ) ნორმირებული ღირებულებით;
დ) აღდგენითი ღირებულებით.

52. პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებს უწოდებენ:

ა) თვითრეგულირებას;
ბ) თვითღირებულებას;
გ) თვითაღიარებას;
დ) თვითშეფასებას.

53. თვითღირებულების გაანგარიშება შეიძლება განხორციელდეს:

ა) სარეიტინგო მუხლებით;
ბ) საკალკულაციო მუხლებით;
გ) არჩეული მუხლებით;
დ) სავალდებულო მუხლებით.

54. საწარმოში პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდის შემთხვევაში და სხვა თანაბარ პირობებში ხვედრითი თვითღირებულება:

ა) იზრდება;
ბ) მცირდება;
გ) სტაბილურია;
დ) პროპორციულია.

55. თვითღირებულება შეიძლება იყოს:

ა) საოჯახო;
ბ) სათემო;
გ) ტექნოლოგიური;
დ) სახალხო.

56. თვითღირებულება შეიძლება იყოს:

ა) სრული;
ბ) მზარდი;
გ) კლებადი;
დ) უცვლელი.

57. თვითღირებულების გაანგარიშება ხდება:

ა) ეკონომიური ელემენტებით;
ბ) ტექნოლოგიური ელემენტებით;
გ) შრომითი ელემენტებით;
დ) ტექნიკური ელემენტებით.

58. ვიწრო ფული M_0 არის:

ა) ბრუნვაში არსებული ნაღდი ფული;
ბ) ბანკნოტები;
გ) ოქრო;

დ) ბრილიანტი

59. დანახარჯები შეიძლება იყოს:

ა) კოლოსალური;
ბ) კომპლექსური;
გ) რთული;
დ) წრფივი.

60. დარგობრივი სტრუქტურა ნიშნავს:

ა) მოსახლეობის სტრუქტურულ შემადგენლობას;
ბ) მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობას;
გ) მოსახლეობის სქესობრივ შემადგენლობას;
დ) ეკონომიკის დარგობრივ თანაფარდობას.

IV ფირმის მენეჯმენტი

61. ორგანიზაციის შიდა გარემოს მიეკუთვნება:

ა) მუშაკთა ასაკი;
ბ) მუშაკთა კვალიფიკაცია;
გ) მუშაკთა სქესი;
დ) მუშაკთა თანამდებობრივი სალდო.

62. ორგანიზაციის მენეჯმენტის შიდა გარემოს მიეკუთვნება:

ა) წარმოების ტექნიკური დონე;
ბ) გადასახადების განაკვეთი;
გ) საბაზრო ინფრასტრუქტურა;
დ) ქალაქის საკომუნიკაციო ქსელი.

63. ორგანიზაციის გარე გარემოს მიეკუთვნება:

ა) წარმოების ტექნიკური დონე;
ბ) მომუშავეთა კვალიფიკაცია;

გ) საგადასახადო სისტემა;
დ) პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრები.

64. რამდენიმე ორგანიზაციული ღონისძიებიდან საუკეთესო ამოირჩევა:

ა) დაყვანილი დანახარჯების მაქსიმიზაციით;
ბ) დაყვანილი დანახარჯების მინიმიზაციით;
გ) დაყვანილი დანახარჯების ექსპლოატაციით;
დ) დაყვანილი დანახარჯების გალოგარითმებით.

65. ტექნოლოგიური დამუშავების დროის შემცირებით საწარმოო ციკლი:

ა) იზრდება;
ბ) იყოფა;
გ) მრავლდება;
დ) მცირდება.

66. დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება შესაძლებელია:
ა) თანმიმდევრობით;
ბ) თანადამოკიდებულებით;
გ) შეთანხმებით;
დ) სირთულით.

67. დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება შესაძლებელია:
ა) შეთანხმებით;
ბ) გარიგებით;
გ) სირთულით;
დ) პარალელურად.

68. დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება შესაძლებელია:
ა) თანადამოკიდებულებით;
ბ) შეთანხმებით;
გ) სირთულით;
დ) შერეულად.

69. საწარმოო ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს:
ა) ნაწარმის ტექნოლოგიური დამუშავებისათვის საჭირო დროს;
ბ) ნაწარმის სარეალიზაციო დროს;
გ) რამდენიმე ტექნოლოგიურტი ოპერაციისათვის საჭირო დროს;
დ) ოპერაციათაშორისო ტრანსპორტირების დროს.

70. სრული საწარმოო ციკლი მოიცავს:
ა) პროდუქციის წარმოებისთვის საჭირი დროს;
ბ) პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის დროს;
გ) პროდუქციის სარეალიზაციო დროს;
დ) პროდუქციის მოხმარების დროს.

71. მენეჯმენტის სტრუქტურა შეიძლება იყოს:
ა) არეული;
ბ) სტაბილური;
გ) ხაზობრივი;
დ) მკაცრი.

72. მენეჯმენტის სტრუქტურა შეიძლება იყოს:
ა) დალაგებული;
ბ) დანაწევრებული;
გ) განსაზღვრული;
დ) ჰორიზონტალური.

73. მენეჯმენტის სტრუქტურა შეიძლება იყოს:
ა) შერეული;
ბ) პარალელური;
გ) თანმიმდევრობითი;
დ) ფუნქციონალური.

74.ძირითადი კაპიტალის რემონტი შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

ა) უსასრულო;
ბ) სასრული;
გ) კაპიტალური;
დ) წერტილოვანი.

75. ძირითადი კაპიტალის რემონტი შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

ა) უწყვეტი;
ბ) წყვეტილი;
გ) დისკრეტული;
დ) მიმდინარე.

76. ძირითადი კაპიტალის ცვეთის ფულადი ანაზღაურება წარმოებს:

ა) ავტონომიზაციით;
ბ) განკერძოებით;
გ) პრივატიზაციით;
დ) ამორტიზაციით.

77. ამორტიზაციის ნორმა დამოკიდებულია ძირითადი კაპიტალის მოხმარების:

ა)სირთულეზე;
ბ) სიმარტივეზე;
გ) ხანგრძლივობაზე;
დ) სილამაზეზე.

78. წლიური ამორტიზაციის ნორმა დამოკიდებულია:

ა) სილამაზეზე;
ბ) სიდუხჭირეზე;
გ) ფასზე;
დ) რენტაბელობაზე.

79. ძირითადი კაპიტალის ეფექტიანობას ახასიათებენ:

ა) სიცოცხლისუნარიანობით;
ბ) კაპიტალუკუგებით;
გ) კაპიტალშემცველობით;
დ) ფასით.

80. ძირთადი კაპიტალის ეფექტიანობას ახასიათებენ:

ა) სიმაღლით;
ბ) სიგანით;

გ) კაპიტალტევადობით;
დ) სილამაზით.

81. აქციზის გადასახადს ექსპორტზე ადრე გადახდილი აქციზის რაოდენობა:

ა) ემატება;
ბ) აკლდება;
გ) იყოფა;
დ) მრავლდება.

82. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია:

ა) მუშაკი;
ბ) ბუღალტერი;
გ) ხელმძღვანელი;
დ) ორგანიზაცია.

83. საშემოსავლო დეკლარაციაში აღინიშნება:

ა) მოგების გადასახადი;
ბ) აქციზის გადასახადი;
გ) საშემოსავლო გადასახადი;
დ) დღგ-ს გადასახადი.

85. მოგების გადასახადის დეკლარაციაში დასაბეგრ მოგებას შემენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:

ა) ემატება;
ბ) აკლდება;
გ) მრავლდება;
დ) იყოფა.

86. მოგების გადასახადში დასაბეგრ მოგებას საამორტიზაციო ანარიცხები:

ა) ემატება;
ბ) გამოექვითება;
გ) გამოცალკევდება;
დ) გამრავლდება.

87. ხელფასის ფორმა შეიძლება იყოს:

ა) დროული;
ბ) აუცილებელი;
გ) დროითი;
დ) საჭირო.

88. ხელფასის ფორმა შეიძლება იყოს:

ა) საჭირო;
ბ) სანარდო;
გ) აუცილებელი;
დ) დროული.

89. ხელფასი არის:

ა) შრომის სიდიდე;
ბ) შრომის ფასი;
გ) შრომის რაოდენობა;
დ) შრომის უნარი.

90. ხელფასის სისტემა შეიძლება იყოს:

ა) დროითი უარყოფით;
ბ) დროითი დადებითი;
გ) დროითი პრემიალური;
დ) დროში უცვლელი.

91. პროდუქციის რენტაბელობა განისაზღვრება:

ა) მოგების გავრცელებით;
ბ) მოგების და დანახარჯების თანაფარდობით;
გ) დანახარჯების სიმტკიცით;
დ) მოგებისა და დანახარჯების ნამრავლით.

92. რენტაბელობის სიდიდე მოგების ზრდის შემთხვევაში:

ა) მცირდება;
ბ) იყოფა;
გ) მრავლდება;

დ) იზრდება.

93. თვითღირებულების შემცირების შემთხვევაში რენტაბელობა:

ა) იზრდება;
ბ) მცირდება;
გ) სტაბილურია;
დ) იყოფა.

94. საწარმოში რემონტი შეიძლება იყოს:
ა) მუდმივი;
ბ) ცვალებადი;
გ) კაპიტალური;
დ) მსუბუქი.

95. საწარმოში სარემონტო მეურნეობას უძღვება:
ა) მთავარი მექანიკოსი;
ბ) მთავარი ბუღალტერი;
გ) მთავარი კონსტრუქტორი;
დ) მთავარი ტექნოლოგი.

96. საწარმოს ენერგომეურნეობა მოიცავს:
ა) სადენებს;
ბ) საავტომობილო გზებს;
გ) რკინიგზის ჩიხებს;
დ) ტრანსფორმატორებს.

97. ეკონომიური ეფექტიანობა წარმოადგენს:

ა) შედეგისა და მომუშავეთა რიცხოვნობის თანაფარდობას;
ბ) შედეგისა და დანახარჯების თანაფარდობას;
გ) პროდუქციის რაოდენობის თანაფარდობას კაპიტალდაბანდებასთან;
დ) თვითღირებულების ფარდობას კაპიტალდაბანდებასთან.

98. ეკონომიური ეფექტი შეიძლება იყოს:

ა) მაშტაბური;
ბ) მწარმოებლური;
გ) დიფერენცირებული;
დ) შედარებითი.

99. მენეჯმენტის ფუნქციაა:
ა) თანადგომა;
ბ) კონტროლი;
გ) მაქსიმიზაცია;
დ) მინიმიზაცია.

100. მენეჯმენტის მეთოდია:
ა) დირექტიული;
ბ) მბრძანებლური;
დ) ეკონომიკური;
დ) დემოკრატიული.

ლიტერატურა:

1. ე. ხარაიშვილი და სხვ. მიკროეკონომიკა. 2021.;
2. ნინო ლობჟანიძე, ეთერ გიგაური, ალექსანდრე შარაშენიძე. ფირმის ეკონომიკა. თბ. 2021. 178 გვ. https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/readers/lobjanidze-firmis-ekonomika-reader.pdf.;
3. ბაკაშვილი ნიკოლოზ, მესხიშვილი დარეჯან, ბიბიჩაძე დავით. ფირმის ეკონომიკა. თბ. 2015. უნივერსალი. 169 გვ. 338.24(02) /27.;
4. ბლიაძე მ. ფირმის სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები. ეკონომიკური პოლიტიკა.მართვა. დაგეგმვა ეკონომიკაში. თბ. „უნივერსალი“.2019. 336 გვ. 338.24(02) / CD-5161;
5. ბლიაძე მ. ფირმის ორგანიზაცია და მართვა. თბ. 2018. 265 გვ. 658(02)/CD-4398;
6. ტყეშელაშვილი გ, კილაძე თ, ზუბიაშვილი მ. ფირმის მენეჯმენტი. თბ. სტუ. 2014. 323 გვ. 338.244 / 196.